№ 121 10 ბიორგობისთვე, ოთხშაბათი 1866—1876 10 ბიორგობისთვე, ოთხშაბათი № 121

დროება

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, Артемъ ჩაიგეშტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადი — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. Ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

Დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

Თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

სამაზრო ბამგეობასთან მყოფი ქალების კომიტეტი დაჭრილთა და Ავათმყოფ მხედართ საზოგადოებისა, მისის Იმპერატორეგითის Უმაღლესობის Დიდი Კნიაგინის Ოლგა Თეოდორეს ასულის — ამ საზოგადოების საპატიო წევრის — ნებართვით, შეუდგება, საზოგადოების წესდების მე-87 მუხლის ძალით, მოძრავი ლაზარეთებისათვის ლოშპიტლის ნივთების დამზადებასა და ამის გამო მიმართავს ყველას, ვისაც კი სურვილი აქვს, რომ კომიტეტის სკლადში რამე ნივთი ან ფული შესწიროს.

საგნები, რომელნიც საჭირონი არიან სამხედრო ლოშპიტლებისათვის და რომელიც სამხედრო სანიტარულ ატრიადისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ:

Ბზისა და თიეის ტომრები (ბარდნები) 3 არშინი სიგრძე (6 არშინი პარუსინა.)

ჩარსავები, თითო 3 არშინი სიგრძე.

Ბალიშის-პირები 1 არშინი და მეოთხედი ოთხ-კუთხი.

Უფრო მდარე ბალიშის-პირები ტიკის მატერიისა, იმავე სიგანისა.

Შალის საბნები

Ფლანელის ხალათები

პერანგები

ნიფხვები

Პირსახოცები, 2 არშინი სიგრძე (11—12 კაპ. არშინი ტილო)

Ცხვირ-სახოცები

ნაქსოვი წინდები ანუ ტილოს ფეხსახვევები

Სარეცხის საპონი

Ლრუბლები

Ბანდაჟები 3—4 თითის სიფართე და 5—15 არშინი სიგრძე, ფლანელის, მარლისა და ტილოს, შეუკერავი.

ქორპი სუფთა, წმინდა ტილოსი

ქასინკები სხვა და სხვა მატერიებისა გადაუკეცელი (ოთხ-კუთხი, არშინი და ნახევარი).

Საღამური ქუდები ძაფისა ანუ წმინდა ზორნალისაგან ნაქსოვი (თავის დაჭრილობისათვის).

Მუცლის ბალიშები ფლანელისა.

Დიდის მადლობითა მიიღება აგრეთვე: მაუდი, ტილო, ფლანელის შეუკერავი ნაჭრები, აგრეთვე დასაკეცი კრავატები, სხვა და სხვა ჭურჭელი მადნეული, შენახული დაჩჩხული საქმელები, ჩაი, შაქარი და სხ.

Პირნი, რომელნიც ქომიტეტის კაცთ-მოყვარეობის მიზანს თანაუგრძნობენ, თავიანთ შესაწირავის გამოგზავნას ინებებენ შემდეგის ადრესით: საზოგადოების სამაზრო ბამგეობის ხაზინადარს ლენერალ-მაიორს Рерберგს (*Казначею Окружнаго Управленія Общества Генералъ-Маіору Рербергу*).

(3—2)

„დროების“ რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს და ხელის-მომწერლებს, რომ, რადგან ეს წელიწადი თავდება და მალე ახალი, მომავალი წლის ხელის-მოწერა უნდა გაიმართოს, ამის გამო წლევანდელი გაზეთის ფული, ვისაც არ გამოუგზავნია, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.

ორი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება Თფილისში — გაზეთის რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში — „Дроэбის“ აგენტებთან.

ფასი ორის თვის გაზეთისა ე. ი. 1 ნოემბრიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ — 2 მანეთი. მთელი წლის სრული ნომრები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი, — ღირს — 8 მან., ნახევარის წლის — 4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა — 1 მან.

საქართველო

თფილისის ბაზარი

ბაზარი — კუჭია ქალაქისა. ბაზარში მოაქვთ, აქ გროვდება ყოველი ხორაგი, რაც კი ადამიანის საკვებს, იმის საჭმელ-სასმელს, იმის ნამდვილ „აუცილებელ საჭიროებას“ შეადგენს.

Თუ ბაზარი უხეიროა, თუ იქ უწესოება, უთავბოლოება ჰსუფევს, მთელი ქალაქის მცხოვრებლები გრძნობენ ამას, ყველანი შეწუხებულნი და შეეიწროებულნი არიან.

Ეს უბრალო ჭეშმარიტება რომ ესმოდეს ჩვენ ქალაქის ბამგეობას, უეჭველია, ჩვენი ბაზრის საქმე ისეთს საძაგელს მდგომარეობაში არ იქნებოდა, ისეთი უწესოება და უპატრონობა არ ისუფევდა იქ, როგორც ახლა ვხედავთ.

მართლაც, ძნელად თუ სადმე სხვა ქალაქში ნახულა ისეთი უპატრონო, უწესო და ურიგო ბაზარი, როგორც ამ ჩვენს ქალაქში ვხედავთ.

Ერთი მიდით, ნახეთ — რა ამბები ხდება-და! Ერთი ჩაიარეთ, დაათვალიერეთ — როგორი ბაზარი გვაქვს და ამ ბაზარში რა წესები ჰსუფევენ! Ეს ბაზრის საქმე ხო ლუკმა-პურის საქმეა და ლუკმა-პურის საქმე ისეთი ხალხისთვის, რომელიც დღე და ღამე ამ ლუკმა-პურზე ზრუნავს!

Ვინ უნდა იყოს ქალაქის საქმეებისა და ამათ შორის ბაზრის პატრონი? — Თვითონ ქალაქისაგან ამორჩეული ქალაქის ბამგეობა?

Ვინ არის ნამდვილი ბატონი და მბრძანებელი? — ჩარჩები და ბაყლები!

ნუ გაგიკვირდებათ ამ ნაირი სიტყვა: რაც ჩვენის თვალით გვინახავს და რაც სანდო კაცებისაგან, ბაზრის მცოდნეებისაგან გაგვიგონია, იმას მოგახსენებთ.

Და ჩვენ აი რა გვინახავს ჩვენის თვალით და ჩვენის ყურითაც აი რა გაგვიგონია:

Აი სოფლელი, რომელსაც ვინიცის რის ვაი-ვაგლახით მოუტანია რამდენიმე ფუთი, ვსთქვათ, კომბოსტო; დაუდვია ურემზე და ხუთმეტი-ოცი ვერსის სიშორიდამ ქალაქში მოაქვს გასასყიდათ.

Აი მეორე სოფლელი, რომელსაც ამ გვარისავე შრომითა და ოფლის წურვით მოყვანილი ხახვი ჩამოუტანია.

Აი, ესეც მესამე, რომელსაც ხილი აქვს.

Ყველანი ბაზარში მოდიან, ყველანი ამ თავიანთ ნაწარმოებისაგან აღებულის ფულით მოელიან ხელმწიფისა და ბატონის, მღვდლისა და ერის კაცის ხარჯის გადახდას, ცოლ-შვილის გამოკვებვას და შემოსვას. ქალაქის ღარიბ ხალხსაც ამის იმედი აქვს: იცის, რომ სოფლელი ქალაქელ ჩარჩზე და საზოგადოთ ვაჭარზედ უფრო იაფად ჰყიდის ხოლმე და ეშურება ბაზარშივე, იქვე, ურემზედვე იყიდოს ყველაფერი, რაც იმის ღარიბ ოჯახს ეჭირება.

Მაგრამ სად არის! ჩარჩები და კინტოები ჯერ ქალაქს გარეთ, Დიღმის, ვერის ან ნავკისის გზებზე უხვდებიან სოფლელებს და ერთმა Ღმერთმა იცის, როგორის ხერხებითა, მოტყუებით და ხშირად ძალადობითაც ართმევენ და ჰყიდულობენ ხსენებულ საგნებსა და მოაქვთ ქალაქში! მოაქვთ იმისთვის, რომ შემდეგ ან სხვა ვაჭარს ვისმე მიჰყიდონ ერთიანად, ნარდათ და ან თვითონვე გაჰყიდონ მომხმარებლებზე ერთი-ორად, ერთი-სამად.

Ან გადაურჩა, ვსთქვათ, სოფლელი გზაზე დამხდომ ვაჭრებს. ჩამოიტანა ბაზარში თავის კომბოსტო, ხილი ან წვანილეული. რამდენ წვალებას გამოიელის, რამდენ შაურს გადიხდის, სანამ ურმის დასადგმელ ალაგს მონახავდეს! Ვისაც აქვს უფლება და არა, ყველა ამ ხამ კაცს დაეხვევა. საიდამაც არი, გაჩნდებიან იგივე ჩარჩები და კინტოები; ერთი ურმიდამ სტაცებს; გამოუდგა იმას წასართმევად, ათი სხვა მიადგა იმის ურემსა და ისე ალაგებენ იქიდამ საკვაჭროს, თითქო იმათი საკუთრება იყოს. Დღე არ გავა ისე ბაზარში, რომ ერთი ჩხუბი, ყვირილი, ვაი-ვაგლახი არ შეიქნეს; და ყველა ამ უწესოების მიზეზი უფრო ხშირად ის არის, რომ კინტოებმა ან დაიტაცეს სოფლელის ურმიდამ, რაც რამე იყო შიგ, ან თვითონ იმას მოსჭრეს ჯიბე და ან სხვა რამე ამ გვარი. სოფლელი ჰხედამს, ხელს სტაცებს თავის გამცარცველს, მაგრამ დაჭერილს ათი ამხანაგი უჩნდება, გამოჰგლეჯენ ხელიდამ, და კიდევ კარგი, თუ მარტო ამ ქურდის განთავისუფლებას დაკმაყოფილდნენ: ისიც გვინახავს, რომ ამისთანა შემთხვევის დროს სოფლელი კარგა შნოიანად მიებერტყოსთ და ყველაფერი წაერთმიოსთ.

Სად არიან ამ დროს ბაზარნიკები, რომელთაც ქალაქის ბამგეობისაგან ბაზარში წესის დაცვა აქვთ მინდობილი? Როცა და საცა ყველაზე უფრო საჭიროა იმათი ყოფნა, სწორეთ იმ დროს იქ არა სჩანან ისინი. Მაგრამ კიდეც რომ იყვნენ, ნუ თუ გგონიათ, რომ სოფლელი იმათგან დაცვას უნდა მოელოდეს? Ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ეს ბაზარნიკები ამ გვარ საქმეებში მონაწილენი არიანო.. ჩვენ, რასაკვირველია, არ გვჯერა ეს, მაგრამ ამისთანა ყურადღების მიუქცევლობა და გულ-გრილობა რას არ აფიქრებინებს კაცს.

Როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად ხახვი, (რომელიც ჩვენ ქალაქელებს ასე უყვარს), ძალიან ძვირობს. რისგან არის ეს? Ამბობენ, რომ რაც ამ ზაფხულ ქალაქში ხახვი შემოსულა, სულ ორ-სამ კაცს, ჩარჩს, უყიდნიათ და სავსე სარდაფები აქვთ, და როგორც უნდათ ასწევენ და დასწევენ იმის ფასსაო. Ამ გვარადვე იქცევიან ისინი ხორცზე, თევზზე, წვანილეულზე, ხილზე და სხვა ყველა საკვების თაობაზედაც.

Სად არის, ვინ უყურებს ტაქცას! Აბა ერთი აიღეთ ხელში ეს ტაქცა და იმ ფასებით მოინდომეთ რაიმე ხორაგის ყიდვა! Პირში დაგცინებენ ჩარჩები! „Არ მინდა, არ ვყიდიო!“ გეტყვისთ. Და გაუდისთ, გაუდისთ იმიტომ რომ იციან, ბოლოს კიდევ იმათთან მიხვალ, (რადგან სხვაგან არ იშოვება) და იმ ფასათ იყიდი, როგორც იმათ ჰსურთ.

Ამბობენ, ამ ოცი-ოც-და-ხუთი წლის წინათ, კანონათ იყო დადებულიო, რომ შუადღემდინ სოფლელისაგან ვაჭარი ვერაფერს ვერ იყიდდაო; ამ დროს მხოლოთ მცხოვრებლებს, მხოლოთ პირ-და-პირ მომხმარებლებს, და არა ამათა და მწარმოებელთ შუა შუამავლებს, უნდა ეყიდნათ რაც ეჭირებოდათ დადებულ ფასათაო. ვაჭრებს კი მხოლოთ ნაშუადღევს შეეძლოთ სოფლელისაგან იმათი ნაწარმოების ყიდვაო. ეს

წესი მაინც რალათ გადაეარდა? აქედამ ცოტა შემსუბუქება მაინც ექნებოდა ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა!

რა სახსარი შეიძლება ურჩიოს კაცმა ქალაქის ბამგეობას ამისთანა უწესოების მოსპობისათვის ჩვენ კუჭბაზარში?

ჩვენ ზედ-მიწევნით მცოდნენი არა ვართ ბაზრის საქმისა; მაგრამ, რადგან ამგვარი მცოდნენი ხმას არ იღებენ და ხელს არ ანძრეევენ, საჭიროთ ვსთვლით ჩვენ მაინც ვსთქვათ რამე:

ყველა კეთილ-განწყობილ ევროპის ქალაქში არის გამართული ღიდი შენობა, ბაზარი, საცა მხოლოთ სოფლის სხვა-და-სხვა ნაწარმოები ისყიდება. ეს ბაზარი (les halles) ქალაქის შუაგულ ალაგშია, რომ ყველა უბნის ღარიბ ხალხს შეეძლოს დიღით ადრიანათ წასელა და ვაჭრობა. შიცხელი კანონებია აქ, და ტაქცა თითქმის ყოველ ნაბიჯზე არის აკრული. ქალაქის პოლიცია მუდამ აქ იმყოფება და ყურს უგდებს ვაჭრობაზედ. მინმემ მომეტებულად გაჭყიდა, ან სხვა რამ უწესოება ჩაიდინა, ან უვარგისი ხორაგი შემოტანა, იმწამსვე სასამართლოში მიჰყავთ და ჯარიმითა და სხვა-ფრიე როგორმე სჯიან.

ჩვენს ქალაქს, რომელსაც ერთი რიგიანი ყასაბხანაც ვერ გაუმართავს, ამისთანა ცალკე შენობის გამართვას განსაკუთრებით სოფლის ნაწარმოებისათვის, რასაკვირველია, ვერ მოვთხოვთ. მაგვრად ჩვენ სრულის უფლებით შეგვიძლიან მოვთხოვოთ იმას:

1) რომ ქალაქის სხვა-და-სხვა ჩარჩებს, ბაყლებსა და კინტოებს შუადღემდინ აღკრძალული ჰქონდეს სოფლელებისაგან ხორაგის ყიდვა:

2) რომ უფრო სინდისიანი ბაზარნიკები დაიყენონ ყველა მაედნებზე, საცა კი ხორაგის ვაჭრობაა და:

3) რომ თვითონ გამგეობის წევრნი დაიარებოდნენ რიგ-რიგათ ბაზარში, ყოველ დღე თუ არა, კვირაში სამჯერ მაინ ცდა თვალ-ყურს ადევნებდენ როგორც თვითონ ვაჭრობას, აგრეთვე ქალაქის პოლიციის მოქმედებასა.

იქნება ამ სახსრებმა ცოტათი შეუმსუბუქოს, ამ თავით მაინცა, მდგომარეობა იმ ჩვენ ღარიბ ხალხს, რომლის ბედისათვის საზრუნველად ეს ქალაქის ბამგეობა დანიშნულია და რომელიც გაკვირვებით ამბობს ახლა: „არა, ე პური და ღვინო წელს, ღვთით, ბლომათ მოვიდა; მა ეს სიძვირე საიდამ უნდა იყოს!“

ს. მ.

ღღიური

ამ ზამთარ, როგორც ეტყობა, ქალაქელებს ბევრი სამხიარულო და დროების გასატარებელი ადგილები ექნება. სხვა და სხვა კლუბებსა და იტალიურ ოპერას გარდა, რომელშიაც მხოლოთ ერთი მომღერალი ქალი-ლუე იპყრობს საზოგადო ყურადღებას, ქალაქში, ბუნიბის მაედანზედ, იმართება კიდევ სამი შენობა; ერთში, როგორც ამბობენ, კონცერტები და სხვა და სხვა გიმნასტიური წარმოდგენები იქნება, მეორეში მუზეუმი (წმინდა სანთლისაგან გაკეთებული საგნები) და მესამეში პონარამა, სხვა და სხვა შესანიშნავი სურათები და ნახატები.

* * *

კავკასიის ღვინოების საზოგადოება ამ დღეებში დალევს თავის არა-ხანგრძლივ სიცოცხლეს.

რა დიდი იმედებითა და აღტაცებით დააარსეს! ამის შემწეობით თითქმის მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის გადაბრუნებასა და გადაკეთებას გვპირდებოდნენ; ამბობდნენ, კახური ღვინო საქართველოსთვის სიმდიდრისა და ეკონომიურ წარმატებას განძად უნდა იყვესო; ეს ბუნებითი თვისებით საუკეთესო ღვინო უნდა ხელოვნურად გავაუმჯობესოთ, მოვნახოთ იმის გადატანის საშუალება და მთელს დედა-მიწას უნდა გავაცნოთო.

ამბობდნენ, იმედოვნებდნენ; მაგრამ ბოლოს რა გამოვიდა? ორ-სამ კაცს მიანდეს მთელი ამ საზოგადოების საქმე და ამათ თავის მხრით ერთს ვიღაც მედახლეს, რომელიც როგორც უნდოდა, ისე ვაჭრობდა და რა ანგარიშიც უნდოდა იმას წარუდგენდა დირექტორებს. ახლა საქმე იქამდინ მივიდა, რომ, ვალების მეტი საზოგადოებას არა გააჩნია რა და დღეს-ხვალ ძალა-უნებურად უნდა მოსპოს თავის არსებობა.

ასე თავდება ხშირად ჩვენი ესრედ წოდებული „საზოგადო საქმეები“. ბევრს ვყვირით, ვამბობთ— ეს არის ჩვენი აღმაშენებელი და ყოველმხრივ წინ წამწევი და გვგონია, რომ ამ ყვირილით ჩვენს მოვალეობას პატიოსნად ვასრულებთ!...

* * *

ვალადა ვრაცხთ, რომ ეს ქუთაისიდამ მიღებული წერილი ჩვენს გაზეთში დავბეჭდოთ:

„უფალო რედაქტორო! „დროების“ მე-112 ნომერში დაბეჭდილი იყო რამოდენიმე სიტყვა შესახებ ბაბრიელ ბაქრაძის გამწესებაზედ თფილისის სამოსამართლო პალატის სეკრეტრად.

„იმ დროს, 20-ს ღვინობისთვეს, მე ვიყავი ჩემი საკუთარი საქმისთვის ქალაქში და როცა დაებრუნდი ქუთაისში, რამოდენთამე პირთა მითხრეს, რომ ბაბრიელ ბაქრაძე შენ გაბრალებს ამ სტატიის დაწერასო.

„მართალია, უფ. ბაბ. ბაქრაძეს ისრე ჰგონია, რომ ვინც კი ქუთაისიდგან ქალაქში ჩავა, ყველანი მის მოქმედებაზედ ლაპარაკობენ; მაგრამ დარწმუნდეს, რომ არც ამ შემთხვევაში და არც კვალად არ მიმიცია ჩემის თავისთვის ნება მასზედ რაიმე დამეწეროს და გარდამეცეს დასაბეჭდავათ, და თუ ოდესმე ეს ყოფილა, მაშინ მე გთხოვთ, უფალო რედაქტორო, გარდასცეთ უ. ბაქრაძეს ფაქტები.

„იქნება უფ. ბაბ. ბაქრაძეზედ ამ მოკლე დროშიაც ვინმემ დაწეროს შესახებ იმისა, რომ ორი კაცი, რომელთაგანაც ერთი პოლიციაში მოსამსახურე არის, გამწარებული დარბიან ამ ჩვენს ქუთაისში და ეძებენ იმისთანა პირებს, რომ მოაწერინონ ხელი თხოვნაზედ, ვითომც ქუთაისის საზოგადოება მადლობას სწირავდეს მას სამაგალითო სამსახურისთვის და სთხოვდეს აქაურ მთავრობას უმაღლეს მთავრობამდის მიაწევინოს დაუფასებელი მისი ნიჭი და სამსახური,—მაგრამ ნუ უკვე მაშინაც მე დამაბრალებს უ. ბაქრაძე ამ საქმეს?..*)

სვიმონ აბულაძე

ქუთაისი, 4 ნოემბერს

* * *

ბათუმიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ აქ თათრები ძალიან გაცხარებულ მოძრაობაში და ომის მზადებაში არიანო. თითქმის ყოველ დღე ჯარები მოჰყავთ და წვრთვნიანო. ამ დღეებში კიდევ ახალ ჯარებსა, ზარბაზნებსა და თოფ-იარაღს მოველით ხომალდებითაო.

ამ საგნისავე თაობაზე „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია დეპეშა, რომლიდამაც ეტყობულობთ, სხვათა შორის, რომ შავი ზღვის ოსმალოს ხომალდების უფროსად დანიშნულია ჰობარტ-ფაშა, რომელიც უკვე წამოსულა შავ ზღვაში თავის ესკადრით.

* * *

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის თაობაზედ გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად სამოცდა-ათ მოთხოვნილებაზე მეტი არის ბანკის გამგეობაში მამულის დაგირავებისაო. მაგრამ ჯერ-ჯერობით არავის არ მიუღია სესხიო, რადგან სხვა-და-სხვა საბუთებისა და დოკუმენტების წარმოდგენა და სასამართლო ადგილებიდამ ცნობების შეკრება ერთობ უძნელდებათო.

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო! 3-ს ნოემბერს გამოსულს „დროების“ ნომერში იყო დაბეჭდილი ხიდისთავიდამ წერილი, რომელიც აცხადებდა, რომ ზემლემერმა სემიგალოვმა შეაგროვა ფული ხიდისთავის შკოლის სასარგებლოთა, არ შეასრულა საქმე; არც ფული, არც ანგარიში არ ჩააბარა სასწავლებელსა და ისე წავიდაო.

რათგან ამ საქმის მოწამენი ვართ ჩვენა, ქვემორე ხელის-მომწერელნი, ამისგამო ვალათა ვრაცხთ გამოვაცხადოთ შემდეგი, რომელიც სრულიად ამართლებს უფ. სემიგალოვსა, რომელსაც, მადლობის მაგიერ, ცილი დაერთო.

რადგან ცუდს მდგომარეობაში იყო ხიდისთავის სასწავლებელი, როგორც შენობით, ეგრეთვე სხვა გარემოებით, ამისგამო, უფ. სემიგალოვმა იკისრა, 1873 წელს, როდესაც ხიდისთავში მეჟეანიე იყო, შეძლების დაგვარათ დახმარება როგორც საკუთარი ფულით, ეგრეთვე სხვა პირთაგან შეწირულის ფულით. შეგროვდა სულ 85 მანეთი, რომელიც შემოიტანეს უმეტესი ნაწილი თვით უფ. სემიგალოვმა და ჩვენ, ქვემორე ხელის-მომწერთა; დანაშთენი წვრილ-წვრილათ შემოიტანეს სხვა უცხო პირთა.

ეს ფული მოჰხმარდა სასწავლებელს შემდეგის სახით:

1) დურგლებს მიეცა— —30 მან.
2) მასწავლებელს— — — 5
3) სასწავლებ. მასალებში—13
4) შენობის მასალაში— —37

სულ — — —85

რაც შეეხება იმასა, რომ შენობა ვერ შესრულდა და ლპებაო, ამაში, ვგონებ, სემიგალოვს ბრალი არა ჰქონდეს, რადგან ის პირობით არავის შეავასო და შეასრულოო. მართალია, სემიგალოვის წამოსვლის დროს ყაერულს კიდევ აკლდა შესრულება და რადგან დურგლებს ზოგი ფული მიღებული ჰქონდათ, უნდა შეესრულებინათ და დანაშთენიც შესრულების უკან მიეღოთ, რომელიც უნდა მიეცა ამათთვის ხიდისთავში მცხოვრებს ამორჩეულს პირს ივანე ამბრიაშვილს, რომელსაც გადასცა სემიგალოვმა ეს დანაშთენი ფული.

ანგარიშისა კი არ ვიცი—ვისთვის უნდა მიეცა უფ. სემიგალოვს ანგარიში: ფული, მომეტებული ნაწილი, ჩვენ სამისაგან იყო შემოტანილი: სემიგალოვისა და ჩვენგან, (დანაშთენთ თითო-ოროლა აბაზობით და შაურობით ჰქონდათ შემოტანილი), და ჩვენ კი ვიცოდით ეს ფული რაშიაც დაახარჯა და როგორცა, და სემიგალოვისა ამ საქმეში, მადლობის მეტი, ჩვენ არა ფერი არ გვემართა.

იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენ ცნობას „თფილისის მოამბეც“ დაბეჭდავს, რომელმანც ეს ამბავი გადაბეჭდა, რომ ახსნა ბრალი იმ კაცსა, რომელსაც, მადლობის მაგიერ, იქნება შეცდომით, დასწამეს ცილი.

ო. ზ. ფანიევი

ანტონ ფურცელაძე.

„დროების“ კორრესპონდენცია

საგარეჯო, ნოემბრის 3-ს. ამას წინათ საგარეჯოში გავარდა ხმა, რომ ნინო-წმინდაში საკვირველი მკითხავი გამოჩნდაო. ამ ხმაზედ მთელი ახლო-მახლო სოფლების ქალი და კაცი მოიგლიჯა იმ მკითხავისკენ და ასე გაშინჯეთ, რომ ფშაველებიც კი მოდიოდნენ საკითხავათა.

აი თურმე რით დაიწყო იმან მკითხაობა: სოფელ ბიორგი-წმინდის თავს, ტყეში, ერთი წმ. ბიორგის ეკლესია არის. ის მკითხავი კაცი თავის ცოლით სალოცავად ყოფილა იქ. (მრთი წლის ჯვარ-დაწერილები არიანო.) იმ ღამეს ცოლ-ქმარი მითომ დახო-

---

*) ვამტკიცებთ და ვარწმუნებთ უფ. ბაბრიელ ბაქრაძის საცნობლად, რომ უფ. სვიმონ აბულაძეს, არათუ ის ხსენებული შენიშნვა, არამედ ჩვენს რედაქტორობაში არცერთი სტრიქონი არ გამოუგზავნია გაზეთში დასაბეჭდათ.

მაგრამ რა ძალიან ეძებს უფ. ბაბ. ბაქრაძე იმ შენიშნვის დამწერს? ახლა ხო მაინც სამოსამართლო პალატის სეკრეტარია და პოლიციურ გამოძიებებს რალათ ჰკისრულობს?

რედ.

ცილან, მეორე დღეს მკვდრები ყოფილან და მესამე დღეს კი გაცოცხლებულან. ამ სიკვდილის დროს სიზმარში ვნახეთო, რომ სამი თვე უფულოდ უნდა ვიკითხოვო და მერე კი ფულითაო....

ბაიდა, თუ არა ეს ვადა, ვინ იცის, მაგრამ მკითხაობა-კი, მგონია, პირდა-პირ ფულით დაიწყო; თითო კითხვა აბაზად იყო. ამ ნაირი ოსტატობით აბედოვლათებდა ხალხს.

ბძანდებოდა შინ, მისდიოდა ფული, სანთელი და სხვაც ბევრი რამ. ამ დღით დედაკაცები უბანებდნენ ერთმანეთს, მოგროვდებოდნენ და მიდიოდნენ მკითხავთან. საკვირველი ეს იყო, რომ იმის ცუდ-უბრალო ბოდვა და ტყუილები ხალხსა სჯეროდა და ასეც იძახდნენ: „ძალიან კარგა კითხულობსო, მისანიაო!“

ჩვენ ვიფიქრეთ იმის მისნობის გამოცდა—ხუმრობისათვის. ის მკითხავი ხშირად დადიოდა, რასაკვირველია, ოსტატობით, იმ ეკლესიაში, სადაც სიკვდილი მოიგონა. დავინახეთ თუ არა იქითკენ მიმავალი, შევიკრიბენით რამდენიმე ქალი და წავედით. ჩვენგანი ერთი, უფრო ხნიერი და სხვა და სხვა გარემოებისაგან შეწუხებული და დაღონებული მივიდა და უთხრა:

— მე შევეტყე, რომ შენ ძალიან კარგად ჰკითხულობ, ყველანი გაქებენ. ამიტომაც წამოველ შენთან ამ სიშორეზე. (ნორიელობა უთხრა).

— მაქებენ.... მითომ რაში მაქებენ?—მკითხავმა შეტევით მიუგო.

— იმაში, რომ კარგი შეტყობა გცოდნია. აბა, შვილო, მეც მიკითხე. ფულს ხომ არ იღებ.

— არა, ვადა გავიდა.... უფულოდ არ იქნება.

— მაშ, როგორა ჰკითხულობ?

— აბაზად და სანთელიც უნდა.

— აი, აბაზი და სანთელი.—მისცა; იმ კაცმა ახლოს დაიწყო.

— აბა მითხარი, რა გიკითხო?

— შემიტყე ჩემი ქმრითა და შვილებით როგორ ცხოვრებაში ვართ, ან გარეთ როგორა ყოვნან შვილები, ან მე როგორი გულითა ვარ?

ადგა ეს კაცი, შეეიდა ეკლესიაში, აანთო სანთელი და სახელი ჰკითხა იმ ქალს. ის-ან უთხრა. მერე დაჯდა, ჩაღუნა თავი, თვალები სანთელს გაუშტერა და დაუწყო:

— რა გინდა, გული მხიარული გაქვს, კეთილად მიდის შენი საქმე, გზას მიზდიხარ, ცოტა საანგარიშოცა გაქვს—და ამით ვაათავა.

— ნორიოდამ რო მოვედი, კიდეც უნდა წავიდე, რაღა შენი თქმა მინდა. არა გცოდნიარა, შვილო, ტყუილად ფულები გიკრეფია. მაგისთვის მოიგონე სიკვდილი?.. ეგ არის, მეტს ალარ მიკითხამ აბაზში? ერთიც მიკითხე.

— არ შეიძლება. მეტი რაღა გინდა?

— რომ არა გცოდნია-რა, აბაზი რაღაში გამამართვი?

— შენ თითონ არა გცოდნიარა... ახლა დედაკაცები ხართ, წახვალთ და ხმას გამიგდებთ - არა სცოდნიარაო... ჭორს მომიგონებთ.

— ვიტყვით, მაშ არ იცი, ტყუილათ რომა სჭამ საწყალ ხალხ; ერთი აბაზის მეტი რო არა ჰქონდეთ, იმასაც შენ ართმევ მაგ ტყუილებით.

— რა გინდა, დედავ, აი შენი ერთი აბაზი, თუ გინდა აიღე და წადი! წელანვე გეტყობოდათ, რომ გამომცდელად მოხვედით...

— წავიღებ, მაშ არა, შენ დაგიგდებ. მე მგონია, სხვა ფულებიც წაგართო, რაც ხალხისთვის დაგიტყუენია, თორემ ჩემსას კი არ დაგანებებ. (აიღო აბაზი და ჯიბეში ჩაიდო).—შენ უთავბოლოდ იყბედო და მე კი ყურიც გიგდო და ფულიც მოგცე! დღეის იქით არ იმკითხავო, თორემ ყველანი გამოსაცდელად მოველენ და კარგათაც შეგარცხვენენ.

ჩვენ სიცილით წამოვედით შინა და ყველას უამბეთ ეს ამბავი. იმ მკითხავს კი მას აქეთ ხმა აღარ ამოუღია და აღარც იმ ეკლესიაში გაუელია.

ასე გამიგონია, რომ მკითხაობა, აკრძალული არისო. ძალიან სცდება, ვინც ამას ფიქრობს. საიდგანა სჩანს, რომ აკრძალულიაო? ითითონ მკითხავები ძალიან გულ-დამშვიდებით და აშკარად ჰყველეფენ ხალხს, და ისინი კიდევ, ვისაც თვალ-ყური უნდა ეჭიროს, რომ ეს აკრძალული ბოროტება არსად გაჩნდეს და თუ გაჩნდა, მაშინვე გააქროს,—ისინი ყურსაც არ იბერტყენ, როცა ეს ხალხის მჭამლები გამოჩნდებიან; ზოგნი იქნება ხელსაც უმართავენ იმათ.

ამაზედ რომ ვფიქრობ, გაკვირვებული ვარ: თუ ჩვენმა უბრალო ხუმრობამ იმ კაცს მკითხაობაზე ხელი ააღებინა, მაშ ვისაც ხუმრობაზედ მეტი ძალა აქვთ და მოვალეობაცა, მაგალითად მამასახლისები, პრისტავები და ღვდლებიც რასაკვირველია, ყურს რაზე იყრუებენ ხოლმე, როცა მკითხავები ოსტატური მოტყუილებით საწყალ ხალხსა ჰყვლეფენ?!

საქმე აბაზი და სანთელი ხომ არ არის,—არა, ბატონო, თქვენ იანგარიშეთ ის ხარჯი, რაც გლეხ-კაცს მოჰდის იმ ხატის კარზე წასასვლელად, სადაც მკითხავი გაისტუმრებს ხოლმე და ის დროც დაუმატეთ ზედ, რასაც ამ მგზავრობაზე ანდომებს თითონ საქონლიან.

ნინო ჯაბადარი

ბორი, ნოემბრის 5-ს. თუ ღმერთსაც უნდა, ძალიან კარგი ამინდი დაუდგა ხვნა-თესვას, ასე რო თუ ამ გვარად შეეწყო ხელი და ზამთარმაც არ უმტყუნა, ერთის სიტყვით იმედია რომ საგანგებო მოსავალს უნდა მოველოდეთ, რადგანაც ყველამ ვინც კი მცონარა არ არი, მშვენიერ ჟუჟუნა წვიმებში დათესა და დაფარცხა და შემდეგშიაც კარგი წვიმები დაუდგა. ასე გაშინჯეთ რომ ზოგ ალაგას კიდეც შეხვდებით ახლა ნახვევარ მტკაველზე ამოსულ ჯეჯილებს. ბლეხ კაცნი აბა რაღა ჩიჩინი უნდა, რომ ამ გარემოებით გამხიარულებულნი არიან.

სხვაფრივათაც მაინცა და მაინც მხიარულება არ აკლიათ. მოგეხსენებათ ამ დროს „ყვირილობის დროთ“ უწოდებენ და ასეთნი არიან, თუ კი ვისმე რამ აბადია, რომ თითო კვირობით არ ნელდებათ თავიდგან ღვინო. „ღვინომ სთქვა ჭაჭანაურმა; უცვეცხლოთ წამოვდუღდები; ჭკვიან კაცთან ბრძენი ვარ, რაგვენთან წამოვსჩქარდები.“ ამ ანდაზასი არ იყოს, აბა რაღა ეჭვი უნდა რო ხანჯლების ტრიალისა და ჩხუბის მეტი გაბრუებული თავიდგან სხვა კეთილი არა წარმოსდინდება.

ქორწილებიც ჯერ-ჯერობით არ არი მაგრე რიგათ გახშირებული, მაგრამ რაღა თქმა უნდა რო ბლომათ იქნებიან.

როგორც ეტყობა ზოგი ღვდლები ვერაფერს მოსაწონათ ეპყრობიან საწყალ ხალხს. რამდენიმე დღის წინათ ერთს დაქვრიებულ საწყალ გლეხ ქალი ეთხოვნა სხვა სოფლიდგან და თავის სოფლის მღვდელს შეხვეწნოდა: „მამაშვილობას, ერთი ბარათი მიმიწერე იმ მღვდელთანაო, ეგებ ხათრი შეგინახოსო და ე რვაოდე მანეთი მაქვს და ამას დამჯერდესო; ესეც შენი და ღვთის რისხვა არ მაქვს, ერთ ვაჭრისგან ვივალე—კალოზე ერთი კოდი წმინდა პური უნდა აუწყოო.“ ღვდელი, რასაკვირველია, კარგა იცნობდა იმის შეძლებას და მიუწერა: „მამაო, ე ხო ხედამ ამ სამეფო კაცს რა დაგლეჯილი ფარაჯით (შინლით) იწერს ჯვარსაო და თუ ღმერთი გწამს რვა მანეთს დასჯერდიო, საწყალი კაცია ხო ხედამ.“ მაგრამ აი თქვენ არ მამიკვდეთ, რამდენი არ ხვეწნოდა საკოდავი გლეხი, რამდენი ღმერთი და ხატი და მაკურთხეველი არ აფიცა, მაგრამ ექმნა ერთი გაქირი სულიერ მამას და სანამ ცამეტი მანეთი არ გამოერთმია, ეკკლესიის კარები არც კი გაეღო! ე ხო ყველა ჩვენგანმა კარგათ იცის, ეს ზოგიერთა სულიერნი მამანი რა პატიოსნებითაც ექცევიან საწყალ ხალხს, და რაღა საჭიროა დაწერილებით ფაქტების მოყვანა, რომელიც უზურში ძრიელ ბევრია, მაგრამ მხოლოდ ამის მოინტერესე ვარ: ნეტავ არავითარი საშუალებით არ ეწამლება ამ სენს?

სუდია-მამასახლისებიც ხო აბა რაღა თქმა უნდა ასეთები არიან, როგორც დალესილი ასპიტი! ერთს სოფელში ერთი ხელ მოკლე გლეხი წასულიყო თავის სიდედრით ერთ სხვა სოფელში სამუშაოდ და ახალ-ხაზდა ცოლისთვის სახლი ჩაებარებინათ. მაგრამ ქრისტემ დასწყეველოს სატანა! აკი ამ ქალს არ გაუჩნდება თავის სოფელშიევ მოარშიყე. ჯერ ერთ ღამეს ბოსლის კარები გაეღო და გამოელალა საქონელი იმ მოარშიყე კაცს, ახლა მეორეს, ასე რო ის ქალიც ბოლოს დაშინდა: ეს ვიღაც ღვთის მტერია, საქონელი მგლებს არ დამიჭმეევინოსო; ადგა, აანთო კვარი და გახედა საქონელს; ამ დროს სტაცა ხელი ამ ვაჟმა, კარგა ბიაბროობა მიაყენა საწყალს პატარძალს და მოჰკურცხლა საითაც თვალი უჭრიდა. ქმარი რო დაბრუნებულიყო, ამ ამბისთვის ყური მოეკრა თუ არა, ამოიღო ხანჯალი და მიეარდა ცოლს, და კიდეც რიგიანათ დასჭრა ბეერდეში; ბოლოს რამდენი არ აჯერეს: ამას არავითარი ბრალეულობა არ სძეო, მაგრამ ის იმ საბუთით მოჰქცევიყო რო, თუკი შენი ნებაც არ იყო, რატო ხმა არ ამოიღე და სოფელს არ აცნობეო. მაგრამ მოგეხსენებათ რო ჩვენში ბევრგან არი ის ჩვეულება, რომ პატარძალს ნება არა აქვს ხმა ამოიღოს მამაკაცთან, ვიდრე შვილი არ ეყოლოს ან ოთხიოდ წელი არ გაატაროს სძლობაში. მეორეც ესა ხანჯლით ემუქრებოდა თურმე ვაჟი, და თუ ხმა ამოეღო, ვინ იცის რო უფრო უარესსაც არ დამართებდა. ამ ამბების მომსმენი ქმარიც და ცოლიც შინაურულადვე შერიგდნენ და აქიმიც მიიწვიეს დაკოდილის გასამთელებლათ. მაგრამ არა, შეეტყოთ თუ არა სოფლის მოხელეებს: და აბა ბიჭო, ციმბირი და შენი ჯანიო! ქალის ქმარს რასაკვირველია შეშინებოდა და დაეწყო ხვეწნა; ე ხო ჩვენ არას ვჩივითო და ნურას გაამხელთო. უჰ! მაგას რას გვეუბნებიო. ბოლოს აი აქეთ, აი იქით, ამდენი მოგვე, იმდენი მოგვე, ხუთი მანეთი და ერთი კარგი სადილი თავის დათრობით გადაეწყვიტათ: თუ არა და შენი ხერხი ჩვენ ვიცითო. უიმისოთაც საწყალ გლეხს ვინ მიაქვავებდა ხუთ მანეთს, მაგრამ ერთი კარგი ღორი დაეკლა და ზორბათაც გადაეკვრევინებინა. მაგრამ მაინც არ გასჭრა იმის პურ-მარილმა: იმათ სულ ფულები ელანდებოდათ, გაუკრეს ხელები და თავის ხანჯლით რამდენიმე კაცით გაისტუმრეს სადაც ჯერ იყო. მოსამართლეს უკანვე გამოეგდო ეს ხელებ გაკრული და გამოძიებას შეუდგა. დაკოდილი ქალი ერთ კვირას უკან მშვიდობიანათ განთავისუფლდა. ის იარა-კი მორჩა, მაგრამ იმ იარას რაღას ბძანებთ, რომ თუ ბიაბროების მიმყენებელი კაცი ვერ გასტეხეს, ხო უნდა ბარე სამ-ოთხ თუმნამდე პრაგონის ფული გადახდეს ამ ვაგლახ ქალის ქმარს, და მაშასადამე იმ ხუთი მანეთის მიცემა ბევრათ ერჩია.

ერთი შემდეგი ყურადღების მიქცევის ღირსი ამბავიც მოხდა ამ ცოტა ხანში: ერთი გლეხი სოფ. ხაშმიდამ (ქახეთიდგან) მუდმისათ დაიარებოდა სალოცავათ ბერის წმ. ბიორგის ეკკლესიაში (ბორის მაზრაშია); წრეულს მკითხავს ეთქვა: შენი სალოცავი ერთს კარგს კურატს ითხოვსო და რატო თავისი უფროსი შვილი კი არ მოჰყავს სალოცავადაო. ამდგარიყო გლეხი, დაესხა ურემზე თავის შვილები და გამოეწვინა სალოცავათ. ითითონ ითფილისში შეჩერებულიყო კურატის საყიდლათ, შვილები კი სხვა მლოცავებს გამოჰყვნენ ამ კაცს, 15 მ. ერთი კარგი კურატი ეყიდნა, და გზაზე ცუდი ამინდი დასდგომოდა, ასე რო როდესაც სოფ. ქოდის წყაროსთან (ბორის მაზრაშია) მოსულიყო, საშინელი წვიმა და სიცივე დასდგომოდა. სოფელში ვისაც არ შეხვეწნოდა, არავის არ შეეშვა ბოსელში, ამდგარიყო ეს გა-

ჭირებული კაცი, მოეხსნა თვითონ ნაბადი და კურატისთვის დაეხურა. მაგრამ ამაოდ დარჩა ეს გაფრთხილება, დილამდე კურატი გაფიჩხდა და მის ტყავში სამ მანეთზე მეტი ველარც კი აეღო. ეს დუხჭირობა როგორც იყო აიტანა, და ეჭვი არ უნდა ზეგარდამო მოელინებას მიაწერდა, მაგრამ აქედგან წამოსულმა რო მიატანა სოფ. ვანათამდე, შვილები უკუქცეულნი წინ შემოეყარნენ: ელოცვათ, მაგრამ ღამე კი არ ეთიენათ; ამის გამო უკანვე დააპირა დაბრუნება სალოცავად. მაგრამ იმ უფროს შვილს თვალები დაუსიდა, გვერდებში გათანგა და ძრიელ ავათ შეიქმნა. ამის გამო მამამ დაუდო ეს ავათმყოფი შვილი მარხილზედ და თორმეტი ვერსტი მეტი სულ აყუდებულ აღმართზე აიტანა, და რო მიატანა წმ. ბიორგის ეკკლესიასთან და კიდეც სული განუტევა საბრალო 20 წლის ახალგაზდამ. აბა ახლა წარმოვიდგინოთ მამის მდგომარეობა, რამდენ რიგათ არის საბრალისი? რასაკვირველია, ამის თაობაზე ადმინისტრაციამ გამოძიება მოახდინა და ექიმის შემოწმებით სასტიკი ფილტვების ანთება მოსლოდა, რომელიც იყო მიზეზი უადგილ-ადგილას ამ საცოდავის სიკვდილისა. ეს შემთხვევა აშკარათ გვიჩვენებს ჩვენი ხალხის ღრმა ძილში განსვენებას და ბევრი მხრითაც განისჯებოდა, მაგრამ რო ცარიელი ლაპარაკითაც არა გამოდის-რა, რა უნდა გავაწყოთ?

Ილია Ალხაზაშვილი

უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. გაზეთებში ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად იმ სიტყვის თაობაზე, რომელიც ლორდ ბიკონსფილდს უთქვამს ლონდონში იქაური ლორდ-მერის ბანკეთზე. ამ სიტყვის უმთავრესი ჰაზრი ის არის, რომ ინგლისი მხოლოდ იმ პირობით დათანხმდება ოსმალოსა და სლავიანებს შუა მორიგების მოლაპარაკებაზედა, თუ ოსმალეთის სიმთელე დაცული იქნებაო; ინგლისი ვერ მოითმენსო, რომ ოსმალოს ერთი ნაჭერი მიწაც არის ჩამოერთვასო; იმის ქვეშევრდომ ხალხებისათვის სხვა და სხვა ადმინისტრაციული რეფორმები საკმაო და სხვ.

რაც შეეხება რუსეთს, ლორდ ბიკონსფილდი დარწმუნებულია, რომ ის მხოლოდ მტრის შესაშინებელად ემზადება ომისათვის, რომ რუსეთი ძალა-უნებურად უნდა დათანხმდეს იმ პირობებზე, რომელსაც ევროპა გადასწყვეტს.

— **რუსეთი, ინგლისი და ოსმალეთი** ემზადებიან ყველაზე უფრო ამ ჟამად საომრად. ინგლისისა და ოსმალოს მზადებაზე ერთ წარსულ ნომერთაგანში იყო რამდენიმე სიტყვა ნათქვამი. რაიცა შეეხება რუსეთის მზადებას, ამაზე აი რასა სწერენ, სხვათა შორის, რუსულ გაზეთებში:

სამხედრო მინისტრის განკარგულებით თითქმის მუდამ დღე იკრიბებიან სამინისტროში ყველა პეტერბურღის ჯარის კორპუსისა და დივიზიის უფროსები სამხედრო საქმეებზე მოსალაპარაკებელად.

რუსის ელჩს ბელგრადში, ქარცევს მმართებლობისაგან ბრძანება მოსვლია, რომ ვინც სამსახურიდამ გადამდგარი აფიცრები არ არის მანდ, სერბიის არმიაში, ბრძანება გადაეცით, რომ მოკლე ხანში რუსეთში დაბრუნდნენ და თავიანთ არმიაში ჩაირიცხონო.

სამხედრო სამინისტროს განკარგულება მოუხდენია ამას გარდა, რომ რუსეთიდამ ცხენები გაყვანა დღეის შემდეგ აღარ შეიძლებაო.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში, მარტო ბრიქურეოვის წიგნის მაღაზიაში, პრიკაზის პირდაპირ,

არაკნი

კრილოვისა

ნათარგმნი რუსულიდგან

თ. მიხეილ ა. ბებუთოვისაგან

ფასი ორი აბაზი

თ. მიხეილ ბებუთოვს უთარგმნია აგრეთვე და ამზადებს **გამოცემისთვის** ბერანჟეს ლექსებს და აგრეთვე ქრილოვის დანარჩენს ზღაპრებსაც.

(3—3)





ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის **მშვენიერის** თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ **მცენარეოლგითს ჟინო-ბლიცერინის პომადისა,** რომელსაც თმა ამოჰყავს. **ეს პომადა** უცდია ბევრს **გამოჩენილ ექიმობისმცოდნეს** და **რეკომენდაციის** წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა **ლანდგერიხტთან** დანიშნულისა, ვენაში, **უ. ძლეიჩინსკისა** და ნებართვა აქვს **მოსკოვის** საექიმო მთავრობისა; **საკვირველს** და წარჩინებული **წარმატება ჰქონდა** და **უკანასკნელ** დროს **მოსკოვის** საექიმო **მთავრობამ** განიხილა **და ჰპოვა** კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე **მომატებულათ** მოსვლეპილი **თავიც** კი **მალე** თმით **იმოსება.** **საკვირველათ** თავის **კეფას** უმაგრებს, **სრულებით** კანის **ყოველ** გვარ **ქერქეშს** ა**მორებს,** **თმას** ამაგრებს, **მცირე** ხანში **ბუნებითი** სიბრწყინვალეს **აძლევს** **და** **მეტის-მეტ** **მშვენიერის** **სუნით,** **რომელიც** **იმისი** **ძვირფასი** **კუთვნილებაა,** **რასაკვირველია,** **პირველის** **ტურფა** **ტუალეტის** **დამამშვენებელია.**

ყველა ეს **თვისებანი** ჩემის ნაწარმოებისა **მაძლევს** **სრულს** **სიმართლეს** **იმედი** **ვიქონიო,** **რომ** **რუსეთში** **ძალიან** **გასავალი** **ექნება** **უპატივცემულესის** **პუბლიკის** **სასარგებლოდ.**

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან **არის** **დარიგება**—**თუ** **როგორ** **უნდა** **იხმარონ** **ეს** **პომადა**

პ ო მ ა დ ა

„PASTA EUGENIE“

ამ **პომადის** **გამამგონს** **აქვს** **პატივი** **განუცხადოს** **საზოგადოებას,** Pasta Evgenie **ისყიდება** **თფილისში** **ლანკოს** **მუზიკალურ** **მაღაზიაში,** **სასახლის** **ქუჩაზე,** **არწრუნის** **ქარვასლაში,** **ვლადიკავკაზში** — **სეგალთან** **და** **სტავროპოლში**-ქურილლადაც. **პირის** **სახე** **იწმინდება** **და** **ახალგაზდა** **ადამინის** **სიცხოველე** **ეძლევა.** **ყველაზე** **უფრო** **ეს** **პომადა** **იმათთვინ** **არის** **საჭირო,** **ვისაც** **სუფთა** **და** **თეთრი** **პისისახე** **ჰსურთ,** **რომ** **ჰქონდეთ.** **მყიდველებისათვის** **გარანტი,** **არის** **ვენის** **ქიმიის** **პროფესორი** **ძლეჩინსკი** **და** **მოსკოვის** **საექიმო** **მთავრობის** **მოწმობა.**

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან **არის** **დარიგება**—**თუ** **როგორ** **უნდა** **იხმარებოდეს.**

ყოველ **პომადის** **ბანკას,** **როგორც** **თმისთვის** **აგრეთვე** „Pasta“-ს **აქვს** **თავის** **დაღი,** **ამურის** **სურათით** **და** **გამამგონის** **ხელის** **მოწერა.** **ციდვის** **დროს** **ამას** **ყურადღება** **მიაქციეთ.**

P. S. **პომადა** „Pasta“ **გამოსადეგია** **აგრეთვე** **იმათთვის,** **ვისაც** **ხორცის** **კანის** **ავათმყოფობა** **არა** **აქვს,** **მაგრამ** **ჰსურს,** **რომ** **წმინდა** **ხორცის** **კანი** **ჰქონდეს** **სახეზე,** **ხელებზე** **და** **ყელზე.** BERTHAE RIES.



ხ ე ლ ი ს **პ ო მ ა დ ა**

ეს **პომადა** **ისეა** **შედგენილი,** **რომ** **იმის** **ხმარების** **შემდეგ,** **ხელის** **კანი** **განსაკვირველად** **რბილდება,** **თეთრდება** **და** **მხოლოთ** **ღრმა** **მოხუცებულებაში** **ჰკარგავს** **ამ** **თვისებებს.**

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის **საღებავი**—**ათი** **მინუტის** **განმავლობაში** **ღებავს** **და** **ექვს** **კვირას** **სძლებს.** **ფასი** **სამი** **მანეთი.**

ტოკაის **ბალზამი**—**საშუალება** **მაზოლისათვის.** **ფასი** 60 **კაპ.** 54—38

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) **ფოთიდამ** **მიდის:**

ოდესისკენ—**შაბათს** **დილის** 8 **საათ.**

სტამბოლს—**კვირაობით,** **დილას.**

ბ) **ოდესსიდამ:**

ფოთისკენ—**ორშაბ.** **ნასად.** 3 **საათ.**

სტამბოლს—**ოთხშაბათს,** **შუადღეზე**

ფოთიდამ:	I		II		III	
სიხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ბერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი **სიტყვა** **თფილისიდამ:**		
ქუთაისს, **ფოთს** . .	1	—
ბორს, **დუშეთს,** **სიღნახს**		50
როსტოვს **ოდესას** **მოსკოვს**	2	—
პეტერბურგს, **ვარშავას** .	2	—
ოსმალეთში, **შვეიცარიაში**	3	—
იტალიაში **და** **საფრანგეთში.**	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) **თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:**

სამზღვარ **გარეთ,** **ქუთაისს,** **რუსეთს** —**ყოველ** **დღე** **კვირას** **გარდა.** **ზუგდ.** **ოთხშ.,** **ოზურგეთს** — **პარასკ.** **და** **ორშაბ.** **ბაქოს** — **ორშ.** **სამშაფ.** **და** **შაბ.** **ქახეთს** — **სამშ.** **და** **შაბ.**

ბ) **ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:**

თფილისისა **და** **ფოთისაკენ**—**ყოველ** **დღე,** **კვირას** **გარდა.** **ოზურგეთს**—**ორშ.** **და** **პარასკ.** **ზუგდიდს** —**ოთხშაბ.**

გ) **ბ ო რ ი დ ა მ.**

ყოველგან **ყოველ** **დღე,** **კვირას** **გარდა.**

დ) **ფ ო თ ი დ ა მ:**

ყოველგან **ყოველ** **დღე,** **კვირას** **გარდა.**

წიგნის **გაგზავნა** **რუსეთში** **და** **სამზღვარ** **გარეთ:**	**კაპ**
ღია **წიგნის**	4
დაბეჭდილის (**სამი** **მისხალი**) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 4 **ნოემბ.**		
ერთი **მანეთი** **ღირს:**		
ლონდონში $3^1/_2$ **პენსი.**	—	84
პარიჟში $317^1/_2$ **სანტიმი.**	—	89
ამსტერდამი(**სარგებლისფასი**)	6	—
ბანკის **ბილეთი** 5%	96	40
მოგებიანი(**პირველისესხი**)	179	50
მოგებიანი (**მეორე** **სესხი**)	175	50
ბირაოს **ფურცლები:**		
თფილ. **საზნ.** **ბანკისა.**	—	--
ხერსონის **ბანკის** ($5^1/_2$)	80	25
მოსკოვის (5%). . . .	81	50
აქ ც ი ე ბ ი:		
ოდესის **სავაჭრო** **ბანკის**	155	—
ფოთი-თფილ. **რკინ.** **გზის**	—	—
შავიზღვის **ცეცხ.** **გემების**	505	—
ქავკაზის **და** **მერკურის.** .	207	—
პირვ. **საზღვევ.** **საზოგ.**	725	50
პეტერბ. **საზღვევ.** **საზ.**	240	50
მოსკოვის **საზღვევ.** **საზ.**	270	—

ვაზანდა	**მან**	**კაპ**
თფილისი, 8 **ნოემბ.**		
პური **შორაგალის** **ფთ.**	1	—
ქერი **ფუთი.** . . .	—	65
ბამბა **ერევნისა,** **ფუთი** .	5	20
—**ამერიკისა,** **ფუთი.** .	5	60
ბაპენტილი **ბამბა** **ფთ.**	8	—
მატყლი **თუშური** **ფთ** .	6	—
—**თარაქამისა** **ფთ.** .	4	60
აბრეშუმი **ნუხური** **გრ.**	2	60
ქონი, **ფუთი.** . .	4	—
ქონის **სანთელი** **ფუთი.**	5	60
სტეარინის **სანთელი,** **ფ.**	11	50
ხორცი **ძროხისა,** **ლიტ.**	—	45
—**ცხვრისა,** **ლიტრა.** .	—	50
სპირტი, **ვედრო.** . .	6	20
შაქარი, **ბროც.** **ფუთი** .	7	50
—**ფხვნილი** **ფუთი** . .	5	90
ულავა **გრგვალი** **ფუთი** .	18	—
ზეთი **ქუნჯუთისა** **ფთ.**	6	20
ოქრო $^1/_2$ **იმპერიალი.** .	6	52